



პრესრელიზი

8 ნოემბერს, 15:00 საათზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საარჩევნო კოდექსის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსია გამართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედია საშუალებებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, საოლქო საარჩევნო კომისიის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ღონისძიება გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის - IFES საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

შეხვედრის თემას წარმოადგენდა საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებული სამი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და შენიშვნების პრეზენტაცია. ორგანიზაციების რეკომენდაციები შეეხებოდა ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტით შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მარეგულირებელ ნორმებს, არჩევნების დაფინანსების გამჭვირვალობისა და მონიტორინგის საკითხებს, საარჩევნო სიების ფორმირების, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო დავების პროცედურებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ორგანიზაციების შეფასებით შემოთავაზებული პროექტი არ გვთავაზობს არსებით ცვლილებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით.

ამ მიმართულებით იგეგმება მუშაობის გაგრძელება საქართველოს პარლამენტთან და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა -

საქართველო“ საარჩევნო კოდექსის რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამართავენ.

მის: ქ. გორი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზი (სტალინის გამზირი #16)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“

